საქართველოს მთავრობის

დადგენილება №231

2009 წლის 15 დეკემბერი

ქ. თბილისი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს პრემიერმინისტრი	–	საბჭოს თავმჯდომარე
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	–	საბჭოს თანათავმჯდომარე
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი	–	საბჭოს წევრი

2. საბჭოს მუშაობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

– საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს;

– საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს;

გიორგიკოხრეიძეს – ორგანიზაციის „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის “ წარმომადგენელს

ამირან ბატატუნაშვილს – „საქართველოს ყრუთა კავშირის“ წარმომადგენელს

ფრიდონ ლობჟანიძეს – „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენელს

ზაზა სიხარულიძეს - „ სრულიად საქართველოს ღვითისშვილთა კავშირის“ წარმომადგენელს;

ლალი წულეისკირს - ორგანიზაციის „ თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის“ წარმომადგენელს;

თეონა ყაჭეიშვილს – ორგანიზაციის „ მშობელთა ხიდი“ წარმომადგენელს;

თამარ მაჭარაშვილს - კავშირის „ ქალი და რეალობა“ წარმომადგენელს;

ბელა სონღულაშვილს – „ სოციალური დაცვის ლიგის“ წარმომადგენელს;

სიმონ პეტრიდისის – ინვალიდთა ინტეგრაციისა და ხელოვნების განვითარების ასოციაციის „ ჰანგი“ წარმომადგენელს;

თემურ სახოკიას – ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ და ვეტერან შშმ პირთა წარმომადგენელს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №294-სსმIII,№127, 04.10.2010წ., მუხ.1850

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №465 - ვებგვერდი, 12.12.2011წ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №473 – ვებგვერდი, 26.12.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 ივნისის დადგენილება №146 – ვებგვერდი, 13.06.2013წ.

მუხლი 2
დამტკიცდეს საბჭოს თანდართული დებულება.

მუხლი 2[1]
საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის კანცელარიის სამდივნო.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №473 – ვებგვერდი, 26.12.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება №603 – ვებგვერდი, 29.10.2014წ.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი
საბჭო არის ინვალიდობის სფეროში საქართველოს მთავრობის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო.

მუხლი 2. საბჭოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანები
საბჭოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:
ა) ინვალიდობის სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია;
ბ) ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო სამოქმედო სტრატეგიული გეგმის მომზადების ან მასში ცვლილებების შეტანის კოორდინაცია;
გ) ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავების კოორდინაცია და განხორციელების ზედამხედველობა (მათ შორის, მონიტორინგისა და შეფასებების ანგარიშების მოსმენა);
დ) ინვალიდობის სფეროში საკანონმდებლო წინადადებებისა და ინიციატივების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება;
ე) საბჭოს ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების შედეგად შემუშავებული პროექტების, წინადადებების, დასკვნებისა და ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილებანი
საბჭო უფლებამოსილია:
ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს ინვალიდობის სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაციისა და საბჭოს სხვა ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია;
ბ) კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად შესაბამისი სფეროებიდან მოიწვიოს სპეციალისტები;
გ) ცალკეული საკითხების მომზადებისა და შემუშავების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფები.

მუხლი 4. საბჭოს ხელმძღვანელობა, დაკომპლექტებისა და მუშაობის წესი
1. (ამოღებულია – 13.06.2013, №146).
2. საბჭოს შემადგენლობაში, დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენელი შესაძლოა იყოს აღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელი (მინისტრი) ან ხელმძღვანელის რომელიმე მოადგილე (მინისტრის პირველი მოადგილის ან მინისტრის მოადგილის სახით), რომელიც საბჭოს წევრის სტატუსით უფლებამოსილია დაესწროს საბჭოს სხდომებს.
3. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ოთხჯერ (სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით).
4 . საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც:
ა) უძღვება საბჭოს საქმიანობას;
ბ) ამტკიცებს საბჭოს სამუშაო განრიგს;
გ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.
5. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თანათავმჯდომარე.
6. საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელიც ასახავს სხდომის დროს განხილულ ყველა საკითხსა და მიღებულ გადაწყვეტილებას. საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს მოითხოვოს საბჭოს სხდომის მოწვევა (სხდომის

მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე), აგრეთვე თავისი მოსაზრების აღნიშვნა სხდომის ოქმში.

7. საბჭოს სხდომის ოქმის შედგენასა და საბჭოს მოწვევის ორგანიზაციულტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს სამდივნო.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №294-სსმIII,№127,04.10.2010წ., მუხ.1850
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №465 - ვებგვერდი, 12.12.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №473 – ვებგვერდი, 26.12.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 ივნისის დადგენილება №146 – ვებგვერდი, 13.06.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 აპრილის დადგენილება № 300 – ვებგვერდი, 16 .04.2014წ.

მუხლი 5. საბჭოს გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სხდომებზე.
2. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
3. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
4. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
5. საბჭოს შეკრებისა და სხდომის ორგანიზების წესს განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.